პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 289 (10065) | შაბათი, 7 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი:

ჩავფუშოთ მშვიდობის მტრების გეგმები (1-ლი გვერდი).
მოძმე ყაზახეთის რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი (მე-2 გვერდი).
ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე (მე-2 გვერდი).
პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე (მე-2 გვერდი).
ა. გოცირიძე. — დავიცავთ დიად მონაპოვარს (მე-3 გვერდი).
ა. თომაძე. — აღმავლობის გზაზე (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — საინტერესო წიგნი მებოსტნეობაზე (მე-3 გვერდი).
მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი მძლავრი და უძლეველია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი

დადგა ზამთარი — ყველაზე რთული და ყველაზე პასუხსაგები პერიოდი მეცხოველეობაში. პირუტყვის გამოზამთრების წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის ხაზით ზაფხულში და შემოდგომაზე მოპოვებულ მიღწევათა განმტკიცება, ამ დარგის შემდგომი აღმავლობა.

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი — ეს ნიშნავს უზრუნველვყოთ იგი საკვების აუცილებელი მარაგით, თბილი, ნათელი ბინებით და წესიერი მოვლა-პატრონობით.

როგორც ცნობილია, გასულ ზამთარში ჩვენს რესპუბლიკას დიდი ნაკლოვანებანი ჰქონდა პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზაციაში. ამის შედეგად მოჰყვა პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის შემცირება.

გაითვალისწინეს რა გასული ზამთრის მკაცრი გაკვეთილი, მოწინავე რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს გაცილებით უკეთ შესძლეს პირუტყვის საზამთრო შენახვისათვის მომზადება.

ბევრმა რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა საკვების დაგროვების დავალება. დაწინაურებულთა შორის არიან ისეთი რაიონებიც (ცაგერი, საგარეჯო), რომლებმაც შარშან ჩაშალეს საკვების დაგროვების გეგმები და ამის გამო გარკვეული სიძნელეები ჰქონდათ პირუტყვის გამოზამთრებაში.

დიდი მუშაობა შესრულდა წელს საზამთრო საძოვრებზე შარშანდელი მძიმე შედეგების ლიკვიდაციისა და გამოზამთრებისათვის წარმატებით მოსამზადებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა რაიონმა შეასრულა უხეში საკვების დაგროვებისა და სილოსის ჩადების დავალებანი, მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არადამაკმაყოფილებელია. 1 დეკემბრისათვის რესპუბლიკის 25 რაიონს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შესრულებული არ ჰქონდათ თივის დაგროვების დავალება. უფრო ცუდი მდგომარეობა იყო ნამჯისა და ჩალის დაგროვების საქმეში. გეგმა შესრულებული არ ჰქონდათ რესპუბლიკის მეტწილ რაიონებს. ზოგან არ გაუნაღდებიათ სილოსის ჩადების დავალებანიც. აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობის ისეთ რაიონში, როგორიც ბორჯომია, წელს შარშანდელზე ცუდად იმუშავეს საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. ჩანს, ამ რაიონის ხელმძღვანელებს ბევრი რამ ვერ ასწავლა წარსული წლების გაკვეთილმა, ისინი კვლავ არაკვალიფიციურად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობას — სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს.

რესპუბლიკაში ცუდი მდგომარეობაა პირუტყვისათვის ახალი ბინების მშენებლობისა და არსებულის რემონტის საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის ახალი ბინების მშენებლობის გეგმა მხოლოდ 27 პროცენტით შესრულდა. დიდი ჩამორჩენაა საღორეების, სახბორეების, საფრინველეების მშენებლობაში. ადიგენის, ბორჯომის, ხაშურის, მცხეთის, კასპის რაიონებს, რომლებიც წლითიწლობით ჩამორჩებიან მეცხოველეობის ბინათმშენებლობაში, ამ მხრივ წელსაც ცუდი მდგომარეობა აქვთ. არსებული ბინების რემონტსა და დათბუნებას ყურადღებას არ აქცევენ ქარელის, ახალქალაქის, წულუკიძის რაიონებში.

დროულად ვერ უზრუნველყოფენ ზემდგომი ორგანოების დავალებათა შესრულებას კოლმეურნეობებისათვის ხე-ტყისა და საშენი მასალების მიწოდების საქმეში ცეკავშირი, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, მთელი რიგი ტრესტები. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წელს კოლმეურნეობებისათვის უნდა დაემზადებინა 10 მილიონი ცალი აგური, მაგრამ დავალება მესამედითაც არა აქვს შესრულებული. დავალება ვერ შეასრულა ცეკავშირმაც, რომ არაფერი ვთქვათ იმ დისპროპორციაზე, რასაც იგი უშვებს საშენი მასალებით ზოგიერთი რაიონის მომარაგების საქმეში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საშენი მასალებისა და ხე-ტყის არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღმაშფოთებელი ფაქტები, რასაც ადგილი აქვს ცეკავშირის სარეალიზაციო ბაზებსა და რაიონულ სისტემებში.

საჭიროა კატეგორიულად ავკრძალოთ მეცხოველეობის ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი საშენი მასალების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა და მკაცრად დავსაჯოთ დამნაშავენი. ამასთან არა მარტო მთლიანად უნდა ავითვისოთ ამ საქმისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი ფონდები, არამედ ფართოდაც გავაჩაღოთ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება.

ისევე როგორც ყველგან, მეცხოველეობაშიც საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები — ადამიანები. მაგრამ ზოგან ამ მხრივაც ვერ არის საქმე რიგზე. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, კერძოდ, ჯავისა და ზნაურის რაიონებში იგრძნობა მეცხოველეობის სპეციალისტთა დიდი ნაკლებობა და დენადობა, რაც იმის პირდაპირი შედეგია, რომ აქ დაივიწყეს მათი საყოფაცხოვრებო პირობებისათვის ზრუნვა.

პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ ჩატარება და ბაგურ პერიოდში მეცხოველეობის ხაზით ახალ მიღწევათა მოპოვება ადგილობრივი ხელმძღვანელი და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, ყოველი მეცხოველის პირველი რიგის ამოცანაა. საჭიროა ამ საქმეში ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები, საერთო კრებებზე ავიღოთ კონკრეტული ვალდებულებანი და გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ ჩატარების მიზნით.

ყველგან სასწრაფოდ უნდა დავამთავროთ საკვების არსებული მარაგის აღრიცხვა და მიტანა პირუტყვის გამოზამთრების ადგილებამდე. ამასთან საჭიროა საკვები დავიცვათ დაზიანებისაგან, ვხარჯოთ მომჭირნედ, არ დავუშვათ მისი განიავების ფაქტები, რასაც ამ ბოლო დრომდე ვხვდებოდით გეგეჭკორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული მომთაბარე რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებს. მათ უნდა შექმნან ყველა პირობა საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა შეუძლებელია, თუ მატერიალურად არ დავაინტერესეთ კოლმეურნეები ამ დარგის განვითარებით. ამიტომ პარტიის რაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ, რათა ადგილებზე არ დაირღვეს კარგი შრომისათვის მაღალი ანაზღაურების პრინციპი, მტკიცედ განხორციელდეს ნატურალური დამატებითი ანაზღაურება.

სოფლად დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებმა გაზარდა კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად. პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება და ბაგური კვების წესიერი ორგანიზაცია იქნება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ახალი წვლილი პარტიისა და მთავრობის დავალებათა სასახელოდ შესრულების საქმეში.

# პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მომავალი სესიისათვის

6-დან 14 დეკემბრამდე ვარშავაში გაიმართება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს, აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალური საბჭოს სესიები. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და განხორციელება პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებისა მშრომელთა მოთხოვნების დასაცავად მათი ერთიანობის განვითარების საკითხზე.

მომხსენებელი — პროფკავშირთა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ლუი საიანი.

2. მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ქარტია და საერთაშორისო კამპანიის მოწყობა პროფკავშირულ და დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად.

მომხსენებელი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე ჯუზეპე დი ვიტორიო.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს, აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალური საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. ნ. სოლოვიოვი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ნ. ვ. პოპოვა — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი და ვ. ი. ბერეზინი — საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგე.

# ჩავფუშოთ მშვიდობის მტრების გეგმები

## ხალხთა შორის მეგობრობისათვის

ლენინგრადი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში გაიმართა მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მუშაობის შედეგებს.

სასადილო შესვენების დროს სტალინის სახელობის ქარხნის ათასობით მელითონე შეიკრიბა ჰიდროტურბინის საამქროში.

ზედიზედ გამოდიან ელექტროშემდუღებელი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. სიდოროვი, ინჟინერი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კოლოტილოვი, ახალგაზრდა მუშა ა. ვოინოვა. მხარი დაუჭირეს რა თათბირის მონაწილე მთავრობების დეკლარაციას, მათ გულისწყრომით დაგმეს ხრიკები ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს იმპერიალისტებისა, რომლებმაც გეზი აიღეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებაზე.

— ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სავსებით ნათელია, — თქვა ამხ. კოლოტილოვმა, — რომ ევროპის ხალხთა ნამდვილი უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით. დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების, ყოფილ ჰიტლერელ რევანშისტთა შეიარაღების გეზს მხოლოდ ომი მოსდევს.

ქარხნის საუკეთესო მჩხეველი ა. დმიტრიევი სულით და გულით მიესალმა დეკლარაციას და განაცხადა:

— ორთქლისა და ჰიდრავლიკური ტურბინები, რომლებსაც ჩვენი ქარხნის მარკა აზის, საბჭოთა ქვეყნის მრავალ კუთხეში მუშაობენ. ეს ტურბინები სინათლესა და სითბოს აძლევენ ადამიანებს, გვეხმარებიან ვაშენოთ ახალი სახლები და ქალაქები, დავიმორჩილოთ ბუნება. ჩვენ, მშვიდობიანი შრომის ადამიანები, მხურვალედ ვიწონებთ და ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, გვწამს ჩვენი ძალების და მშვიდობის საქმის სიმართლე.

ს. მ. კიროვის სახელობის ძაფსართავი კომბინატის ძაფის ფაბრიკის სამღებრო-სათეთრებელ საამქროში მიტინგს დაესწრო დღის ცვლის ათასზე მეტი მუშა.

— ჩვენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ვეწევით, — განაცხადა სამღებრო საამქროს ოსტატმა ე. მიხაილოვამ. — საბჭოთა ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მშრომელთა ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი და მდიდარი იყოს. იმპერიალისტებს კი სურთ ხელი შეუშალონ ჩვენს შემოქმედებითს შრომას. მაგრამ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი. ევროპის რვა ქვეყნის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს ომის თავიდან აცილების გზები. ჩვენ, მუშები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს დეკლარაციას, რომელსაც მათ მოაწერეს ხელი.

ლენინგრადის მშრომელნი კრებებსა და მიტინგებზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ენერგიულად იბრძოლონ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის.

## აგრესორები გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ

მოსკოვის ელნათურების ქარხანაში ჯერ არასოდეს არ შეკრებილა იმდენი ხალხი, რამდენიც 3 დეკემბერს შეიკრიბა საერთო-საქარხნო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მუშაობის დამთავრებას.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნოვობიტოვმა. მან სიტყვა მისცა პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. მარსოვს, რომელმაც უამბო შეკრებილთ თათბირის მონაწილე მთავრობების საბოლოო კომუნიკესა და დეკლარაციის შესახებ.

ზედიზედ გამოდიან საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლები. ტრიბუნაზეა ელექტრონათურების საამქროს მუშა ამხ. სელივერსტოვა.

— ჩვენ, დედები, მთელი არსებით წინააღმდეგი ვართ ომის საშინელებისა, — ამბობს იგი. — მე მხურვალედ მივესალმები დეკლარაციას, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში. იგი გაფრთხილება იქნება ყველა იმისათვის, ვინც ცდილობს ახალი მსოფლიო ომის ხანძარი დაანთოს.

შეკრებილნი ყურადღებით უსმენენ მექანიკოს ზეინკალს ამხ. მალინკინს. მან თქვა:

— ბადისა და ელექტროდის საამქროს მუშაკთა კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა დეკლარაციას. მოსკოვის თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხები ესწრაფვიან მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

მშვიდობის მტრები ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, ხელი შეგვიშალონ იმაში, რომ მეგობრულად ვიცხოვროთ ყველა სხვა ხალხთან. მაგრამ დაე იცოდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის მტრებმა, რომ მათს ცდებს — დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ მშვიდობისმოყვარე ხალხთა გაერთიანებული ძალები.

საერთო-საქარხნო მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მხურვალედ მოიწონეს დეკლარაცია და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. (საკდესი).

## საყოველთაო უშიშროების გზა

კიევი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა მთელი უკრაინელი ხალხის ყურადღება მიიპყრო. ურყევი რწმენით, რომ გაიმარჯვებს მშვიდობის დაცვის სამართლიანი საქმე, ადევნებდნენ თვალყურს თათბირის მუშაობას ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს დედაქალაქის — კიევის მშრომელები.

ცნობა, რომ თათბირმა მიიღო დეკლარაცია, მოედო ყოველ ქარხანასა და ინსტიტუტს, ყოველ მშენებლობასა და დაწესებულებას. კიეველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ მიესალმებიან, იწონებენ და მხარს უჭერენ მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას.

...ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცა". ასობით მანქანათმშენებელი შეიკრიბა დღეს საერთო საქარხნო მიტინგზე.

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა მიტინგზე მეყალიბე ს. ივანოვმა,— მთელ ჩვენს ძალღონეს ვახმართ მშვიდობის დიად წმიდათაწმიდა საქმეს. ამიტომ ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მოსკოვის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას.

ერთსულოვნად იწონებენ მოსკოვის თათბირის დეკლარაციას კიევის მშენებლები. მშენებელ მუშათა მიტინგზე ქალაქის ერთ-ერთმა საუკეთესო კალატოზმა ფ. კრავჩუკმა თქვა:

— ჩვენ ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღვადგინეთ უკრაინის ქალაქები და სოფლები, მშობლიური კიევი, საყვარელი კრეშჩატიკი. საბჭოთა ადამიანები აშენებენ ელექტროსადგურებსა და ფაბრიკებს, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სანატორიუმებს, ახალ ქალაქებს. და ყოველივე ამას ჩვენ ვაშენებთ მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ევროპის სახელმწიფოთა მხოლოდ ერთობლივ ღონისძიებებს შეუძლიათ შექმნან ევროპის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის საფუძველი.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა სტალინის სახელობის ქარხანაში, ქარხნებში „კრასნი ექსკავატორში", „ბოლშევიკში", „ტოჩელექტროპრიბორში", გორკის სახელობის ქარხანაში, ფაბრიკებში, სამშენებლო მოედნებზე, კიევის სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში. მიღებულ რეზოლუციებში მუშები და მეცნიერები, მწერლები და სტუდენტები — უკრაინის დედაქალაქის ყველა მშრომელნი მხურვალედ იწონებენ მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას.

## თავდადებული შრომით განვამტკიცებთ მშვიდობას

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხალხმრავალ მიტინგს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაცია გააცნო პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ფირანიშვილმა. მეორთქლმავლეებმა მხურვალედ მოიწონეს დეკლარაცია.

სიტყვა ეძლევა საგარეცხვო საამქროს ოსტატს შ. ხიზანიშვილს.

— საორთქლმავლო დეპოს თითოეულ მუშაკს, — თქვა მან, — სურს მთელი ენერგია მოახმაროს ხალხთა შორის მშვიდობის მტკიცედ დაცვას. თავდადებული შემოქმედებითი შრომით ჩვენს წვლილს შევიტანთ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. საგარეცხვო საამქროს კოლექტივის სახელით ვკისრულობ ვადამდე შევასრულოთ დეკემბრის დავალება, გეგმის გადამეტებით გარეცხვითი შეკეთებიდან გამოვუშვათ 30 ორთქლმავალი.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე აწევითი საამქროს ოსტატმა გ. ბერიაშვილმა, მემანქანე გ. ბიჭიაშვილმა და სხვებმა.

## მანქანათმშენებელთა სიტყვა

სამუშაოს დამთავრებისთანავე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა კლუბი ხალხით გაიჭედა. ინფორმაცია გააკეთა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ლ. აივაზოვმა. მან შეკრებილთ უამბო ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების საბოლოო კომუნიკესა და დეკლარაციის შესახებ.

ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიან ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წარმომადგენლები, რომლებიც ერთხმად იწონებენ დეკლარაციას. მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატმა ვ. ამირგულოვმა თქვა:

— საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს ღრმად სწამთ თავიანთი ძალების და აქვთ თავიანთი დაუშრეტელი რესურსების იმედი. და თუ მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, მათ გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ მშვიდობისმოყვარე ხალხთა გაერთიანებული ძალები.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სამსხმელო საამქროს უფროსმა ს. მაჩაიძემ, მღარავმა ვ. კორჩაგინმა, საამწყობო საამქროს ოსტატმა თ. დევდარიანმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთხმად იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას და ვალდებულებას კისრულობენ ქარხნის ხუთწლიანი გეგმა 1955 წლის პირველი ოქტომბრისათვის შეასრულონ.

# მ ო ძ მ ე ყ ა ზ ა ხ ე თ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

## არის-თურქესტანის არხი

ყაზახეთში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეხამბეობის შემდგომი აღმავლობისა და საკვების მყარი ბაზის შექმნისათვის გადაწყვეტილია უახლოეს წლებში წყალთა მეურნეობის მთელი რიგი დიდი ობიექტების მშენებლობა.

ერთ-ერთ ასეთ მშენებლობას წარმოადგენს არის-თურქესტანის არხი, რომელიც შენდება სამხრეთ-ყაზახეთის ოლქში. ეს არხი უზრუნველყოფს 117.100 ჰექტარი ყამირი მიწების მორწყვას, მნიშვნელოვნად განამტკიცებს თურქესტანის, ფრუნზეს, ჩაიანისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ეკონომიკას. არხის ერთ-ერთ უბანზე ივლიან კარჭაპები მოტორიანი ნავებით, რომლებიც გადაზიდავენ სასუქს, ბამბას და აგრეთვე პროდუქტებს. აშენდება ორი ჯებირი, სამი ელექტროსადგური, რომელთაგან თვითეულის სიმძლავრე 2.000 კილოვატს მიაღწევს.

მშენებლობა რესპუბლიკური მნიშვნელობისაა. გარდა სამხრეთ ყაზახეთის ოლქის მშრომელებისა, მასში მონაწილეობას მიიღებენ ჯამბულის, ალმა-ატის, ყარაგანდის, ტალდი-კურგანის, სემიპალატინსკის ოლქების მშრომელები.

## ახალი საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები

ყაზახეთის ახალ მიწებზე წელს გაზაფხულზე ჩამოყალიბდა მარცვლეულის 93 ახალი საბჭოთა მეურნეობა, რომლებმაც უხვი მოსავალი მოიყვანეს და სახელმწიფოს მილიონობით ტონა პური ჩააბარეს.

რესპუბლიკაში შესრულებულია ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გეგმა. ახლო მომავალში ჩამოყალიბდება კიდევ 300-მდე ახალი საბჭოთა მეურნეობა. მომავალ წელს მინდვრის სამუშაოთა მოცულობა რამდენჯერმე გაიზრდება. მარტო მტს-ებმა უნდა მოხნან კოლმეურნეობებში ორნახევარ მილიონზე მეტი ახალი მიწები. ეს კი მოითხოვს ახალ ტექნიკასა და კადრებს.

ახალი მიწების ათვისების რაიონებში იქმნება მტს-ები. სემიპალატინსკის, კუსტანაის, კოკჩეტავის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, აქტიუბინსკის ოლქებში შეიქმნება 60 მტს-ი.

## მილიონერი კოლმეურნეობები

ახალი მიწების ათვისებასა და მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან დაკავშირებით სწრაფად იზრდება კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. წელს რესპუბლიკის კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი ორჯერ მეტი იქნება 1953 წელთან შედარებით.

პავლოდარის ოლქის კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ და მიყიდულ პურში იღებენ 320 მილიონ მანეთს. ამჟამად ამ ოლქში არსებული 184 კოლმეურნეობიდან 150 მილიონერია. თვითეულ შრომადღეზე მოდის 5-10 მანეთი ფულად. პავლოდარის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პურით მიიღო 3.975 ათასი მანეთი. ამ რაიონის ყველა კოლმეურნეობა მილიონერია.

## მეცხოველეობის მოწინავენი

რესპუბლიკის ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წარმატებით ასრულებს მეცხოველეობის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლების სახელმწიფო გეგმებს.

ალმა-ატის სასოფლო რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 3.000 ლიტრი რძე. კოლმეურნეობაში ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე ჰყავთ 40 ძროხა, 69 ცხვარი, 22 ღორი.

პავლოდარის ოლქის ბესკარაგაისკის საჯიშე საბჭოთა მეურნეობისა და ალმა-ატის კასტეკის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეები იბრძვიან მატყლის მეტი ნაპარსის მიღებისათვის. პირველმა 5.000 ცხვრისაგან თვითეულზე მიიღო 5-7 კილოგრამი მატყლი, ხოლო კასტეკის საბჭოთა მეურნეობაში ზოგიერთი ცხვრისაგან მიიღეს 12 კილოგრამი.

სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების დარგში დამსახურებისათვის ამ დღეებში ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეცხოველეთა ჯგუფს მიენიჭა ყაზახეთის სსრ დამსახურებულ ოსტატ-სპეციალისტ მეცხოველეთა საპატიო წოდება.



ყაზახეთის სსრ. ქალაქი ყარაგანდა. ლენინის პროსპექტი.
ფოტო პ. ფედოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## წითელ იურტებსა და კლუბებში

ყარაყუმის საძოვრებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მილიონობით სული პირუტყვია. აქ მეცხოველეთა მომსახურებისათვის მუშაობს სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, ასობით წითელი იურტები, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები.

კარგად მუშაობს წითელი იურტა, რომელიც მომსახურებას უწევს ყზილორდის ოლქის ჯალაგაშის რაიონის სტალინის, მარქსის, კალინინის, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებს. იურტა უზრუნველყოფილია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით, აქვს პატეფონი, შაში, ჭადრაკი. იგი წარმოადგენს მწყემსების საყვარელ დასასვენებელ ადგილს. აქ ისმენენ ლექციებს, საუბრებს, გამოდის კედლის გაზეთი და სხვ.

## რესპუბლიკის მცენარეული სიმდიდრისადმი მიძღვნილი კონფერენცია

ამას წინათ გაიმართა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მცენარეული სიმდიდრის შესწავლას. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლის, დედაქალაქის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მეცნიერებმა.

მოხსენება ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების მცენარეთა გამოკვლევის შესახებ წაიკითხა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. გორიაევმა. ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა შაბანოვმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ეთეროვან ზეთს, რომელსაც შუა აზიის რესპუბლიკებში ველური მცენარეებიდან იღებენ.

სულ წაკითხულ იქნა 15 მოხსენება.

ზ. აიტმაგომბეტოვი,
„კომუნისტის" კორესპონდენტი.
ქ. ალმა-ატა.

# ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე

## საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა „იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ამოცანების საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის შედეგები და თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები".

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, ასრულებდა რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ მითითებებს, თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია იდეოლოგიური მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას. ამასთან ერთად იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები, შეცდომები და ხარვეზები, რომლებიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში გამოამჟღავნა, მთლიანად და სავსებით ახასიათებს თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციასაც.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, პარტიული განათლების დაყენებაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ არიან პროპაგანდისტები, რომლებიც სისტემატურად არ მუშაობენ თავიანთი ცოდნის ასამაღლებლად, ხელი არ აუღიათ ცალკეულ დებულებათა და ფორმულირებათა დაზეპირების სქოლასტიკურ მეთოდებზე. მაგალითად, პროპაგანდისტები ლ. ჯანოევი საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელში", გ. სამხარაძე ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში და სხვები მეცადინეობას დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე აწყობენ. მსმენელებთან გაშლილი საუბრის ნაცვლად ისინი სჯერდებიან კითხვა-პასუხის მეთოდს.

პარტიის მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებსა და ქალაქის რაიკომებში სასწავლო წლის დასაწყისში ზერელედ მიუდგნენ წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებას, არ უზრუნველყვეს ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ დაცვა, დაუშვეს შეცდომები პროპაგანდისტთა შერჩევისას. ამის გამო საჭირო გახდა ცალკეული წრეებისა და პოლიტსკოლების დაშლა, ზოგიერთი პროპაგანდისტის შეცვლა. ასეთი ფაქტები იყო, მაგალითად, ქალაქის კალინინის, კიროვის, ლენინისა და სხვა რაიონებში.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ არ უწევენ სათანადო დახმარებას წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელებს. პარტიის რაიკომებთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარები ჯერ კიდევ არ გამხდარან პროპაგანდისტებისადმი თეორიული და მეთოდური დახმარების ცენტრებად.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ლექციურ პროპაგანდას — მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებისადმი დახმარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას.

აღინიშნა, რომ წელს პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიონულმა კომიტეტებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს ლექციური პროპაგანდა, მეტ ინტერესს იჩენენ ლექციების თემატიკისა და ხარისხისადმი, განაახლეს ლექტორთა ჯგუფების შემადგენლობა. მიმდინარე წლის ათ თვეში პარტიული კომიტეტების, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს ლექტორთა ძალებით ქალაქში წაკითხულ იქნა 4.600-ზე მეტი ლექცია. ლექციების წასაკითხავად გამოყენებულია ბევრი კვალიფიციური ლექტორი. მაგრამ ლექციურ პროპაგანდაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის: ცოტა იკითხება ლექციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როგორც საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის როლის შესახებ, ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის, პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის შესახებ და სხვ.

ხშირია შემთხვევა, როცა ლექტორები, გამოსვლისათვის რომ ემზადებიან, არ იცნობენ თავიანთ აუდიტორიას, ლექციაზე მოუმზადებელი ცხადდებიან, რის შედეგადაც ლექცია ყოველთვის როდია ქმედითი და გასაგები.

ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. ნაცვლად იმისა, რომ ეწარმოებინათ დაკვირვებული და სისტემატური მუშაობა საბუნებისმეტყველო ცოდნის გასავრცელებლად და იდეური ბრძოლა რელიგიასთან, სიტყვიერ და ბეჭდვითს გამოსვლებში ზოგჯერ შეურაცხყოფდნენ მორწმუნეთა გრძნობებს მათ მიერ რელიგიური წესების შესრულების დროს. დარწმუნების მეთოდს ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრირებით ცვლიდნენ. პლენუმის მონაწილეებმა, რომლებმაც გამოამჟღავნეს ეს ნაკლოვანებანი, აზრი გამოთქვეს იმის სასარგებლოდ, რომ გადაჭრით გაფართოვდეს ლექციური პროპაგანდა, რომელიც განუმარტავს მსმენელთ ცხოვრების, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მეცნიერულ-მატერიალისტურ გაგებას.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობის საკითხებს.

— ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მან, — მცირე მუშაობა როდი გასწიეს პროპაგანდისტთა კადრების შესარჩევად და ახალგაზრდობაში ლექციური პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. მაგრამ პროპაგანდა ხშირად საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პრაქტიკული საქმიანობისაგან მოწყვეტით წარმოებს.

პლენუმზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ქალაქის მშრომელთა შორის პოლიტიკური აგიტაციის დაყენებაში. მომხსენებელი და კამათში გამოსულნი ამბობდნენ, რომ პოლიტიკური აგიტაცია ხშირად ზერელე-საინფორმაციო ხასიათს ატარებს, მოწყვეტილია წარმოების კონკრეტული ამოცანებისაგან, ნაკლებად უწყობს ხელს მოწინავე გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას, არსებული რეზერვების გამოვლინებას და სრულად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

კერამიკულ კომბინატში, თამბაქოს № 1 ფაბრიკაში, პურის № 2 და № 4 ქარხნებში და ქალაქის სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე გარეუბნის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა არარეგულარულად წარმოებს. ამიტომ აქ ჯერ კიდევ ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს გაცდენის, საწარმოო გეგმების შესრულებაში ჩამორჩენის შემთხვევები. სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციების მუშებს შორის.

პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ზურაბიშვილმა თავის გამოსვლაში აღიარა, რომ რაიონში სუსტად არის დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ბევრ სასოფლო კლუბსა და ბიბლიოთეკას არ იყენებენ მასობრივ-პოლიტიკური და საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი რაიონში მოსახლეობის კინომომსახურება.

პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სასწავლებლების საქმიანობას.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების პირველად პარტიულ ორგანიზაციებში სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგალითად, ისტორიის ინსტიტუტში ამ დაწესებულების ხელმძღვანელობის კრიტიკა არ უყვართ, პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ მუშაობს მეცნიერი მუშაკების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და ამ თეორიის დებულებების პრაქტიკულ მუშაობაში შემოქმედებითი გამოყენების საკითხებზე.

სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობა. თავისი არსებობის 8 წლის განმავლობაში ინსტიტუტს არ გამოუშვია არც ერთი სერიოზული მონოგრაფიული ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. ინსტიტუტში ცუდად არის დაყენებული მეცნიერული კადრების მომზადება. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ 25 წელიწადში არც ერთ ფილოსოფოსს არ დაუცავს დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მიუხედავად ყოველივე ამისა, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. დ. კალანდაძემ თავის გამოსვლაში პლენუმზე არ გამოამჟღავნა ნამდვილი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ინსტიტუტს უკეთ მუშაობაში.

ბევრი ნაკლია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის საქმიანობაში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას ახასიათებს, არის პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების არასაკმაო ხელმძღვანელობა ამ დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი.

სერიოზული ხარვეზები აღინიშნა სტუდენტებსა და ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობაში იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაშიც. ჯერ კიდევ დაბალია წარმატება უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, ახალგაზრდობის ერთ ნაწილში არის უდისციპლინობის, ამორალური ქცევის და შრომისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების შემთხვევები. მაგალითად, 742 კაციდან, რომლებმაც უნივერსიტეტი დაამთავრეს და სამუშაოზე გაიგზავნენ, 20 ნოემბრისათვის ადგილებზე სამუშაოდ გამოცხადდა მხოლოდ 211. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქის ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელშიც.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. შ. ხელაშვილმა ილაპარაკა სუსტ აღმზრდელობით მუშაობაზე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის.

უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა ამხ. მ. კობახიძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ჯორბენაძემ და საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. სალუქვაძემ.

პლენუმზე სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და კავშირების მუშაობა. ბევრ წამყვან მწერალს უკანასკნელ ხანს რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღარ შეუქმნია და სჯერდება წინათ დაწერილი თავისი წიგნების ხელახლა გამოცემას. დიდ ანგარიშს უყენებენ დრამატურგებს მაყურებლები და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები.

რა არის იმის მიზეზი, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ნაკლებად ქმნიან მაღალმხატვრულ, მაღალიდეურ ნაწარმოებებს? ასეთი ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად აიხსნება შემოქმედებითს ორგანიზაციებსა და კავშირებში სუსტი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით. პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ზრუნვას არ იჩენენ შემოქმედებითი მუშაკების იდეურ-თეორიული სწავლებისათვის, არ იბრძვიან თვითდამშვიდებისა და ურთიერთშექების წინააღმდეგ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებისათვის.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ქალაქის ზოგიერთი თეატრი, მათს რეპერტუარში ცოტაა ქართველი საბჭოთა დრამატურგების პიესები.

პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას" და „სოვეტაკან ვრასტანის" მუშაობა. ისინი იშვიათად ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე სტატიებს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჭახრაკიამ, პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. პეტრიაშვილმა, რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორმა ამხ. ა. ხორავამ, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ქ. კალაძემ და სხვებმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

# მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

3 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გამოვიდა მშენებლობისა და საგზაო მანქანათმშენებლობის მინისტრი ამხ. ე. ს. **ნოვოსელოვი**. მან განაცხადა, რომ მშენებლობის საჭიროებისათვის ქარხნები სერიულად უშვებენ 600-ზე მეტი სახელწოდების მანქანებსა და მექანიზმებს. ამ მანქანა-მექანიზმებს შორის არის ექსკავატორები, ტრანსპორტიორები, ბეტონსტუმბოები, ხსნარტუმბოები, სხვადასხვა ტვირთამწეობის კოშკურა ამწეები, არამადნეული მასალების მოპოვებისა და გადამუშავების მექანიზმები და პნევმატიკური და ელექტროფიცირებული ინსტრუმენტი მოსაპირკეთებელ სამუშაოთათვის.

მომავალ წელს მანქანებისა და მექანიზმების გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზრდება. სამინისტროს საწარმოები დაამზადებენ აგრეთვე დიდძალ ტექნოლოგიურ მოწყობილობას საშენ მასალათა მრეწველობის ახალი ქარხნებისათვის. ახლა დიდი მუშაობა მიმდინარეობს მანქანათა თვითღირებულების შემცირებისათვის. იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გააუმჯობესონ მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება მშენებლობაში. ამ მიზნით შენდება სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი სპეციალური საამქროები.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ა. **მოვსესიანმა** თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა ადგილობრივი საშენი მასალების დამუშავებისა და გამოყენების საკითხებს.

კერამიკული ფილების ნაცვლად ტუფის მოსაპირკეთებელი ფილების გამოყენებამ და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა შენობათა აგების ვადა. თუ წინათ ოთხ-ხუთსართულიანი სახლები ორ-სამ წელიწადს შენდებოდა, ახლა ასეთი სახლები შენდება 8-9 თვეში. მომპირკეთებელი ტუფის მოპოვების მექანიზაციისა და გაფართოების საჭიროება. სომხეთს ამ მასალის უდიდესი რესურსები აქვს, მარტო აღრიცხული მარაგი ორ მილიარდ კუბურ მეტრს უდრის. ტუფს საკმაოდ დიდი სიმტკიცე აქვს. იგი აგურზე უფრო მსუბუქი და სითბოს ნაკლები გამტარია. ტუფის გამძლეობა შემოწმებულია ჟამთასვლით: რესპუბლიკაში არის ტუფის ნაგებობანი, რომლებიც კარგად არის შენახული თხუთმეტი საუკუნის მანძილზე. მიუხედავად ტუფის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობისა, მისი მოპოვება სომხეთში ხელით, ნახევრადკუსტარულ პირობებში მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა არაერთხელ მიმართეს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ტუფის სამანქანო მოპოვების დანერგვის შესახებ, ისინი ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნის „ოქტომბრის" მბრუნავი ღუმელების მემანქანემ ამხ. **ფ. ფ. ნიკოლაევმა** ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვის ამ საწარმოს კოლექტივი შინაგანი რესურსების გამოყენებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. ღუმელების მუშაობის ახალმა რეჟიმმა, რომელიც ქარხანამ დასახა, შესაძლებელი გახადა მათი წარმადობის გადიდება. ამის შედეგად მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში საწარმომ გამოუშვა ათეულ ათასობით ტონა კლინკერი საპროექტო სიმძლავრის გადაჭარბებით. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს მეხუთე ხუთწლიანი გეგმა.

ამხ. ნიკოლაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცემენტის მრეწველობისათვის მოწყობილობის დამპროექტებელი ინსტიტუტების მუშაკები იშვიათად დადიან ქარხნებში, ჯეროვნად არ სწავლობენ და არ განაზოგადებენ წარმოების მუშაკთა მოწინავე გამოცდილებას.

ინსტიტუტ „ორგსტროის" დირექტორმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. **ფ. ი. მალცევმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა მცირე მექანიზაციის საკითხებს. მშენებლობაში სრულდება მცირე მოცულობის სამუშაოთა მნიშვნელ[illegible]ვის პირობებში. ამისათვის საჭიროა პატარა მანქანები, მაგრამ მათ არასაკმაო რაოდენობით ქმნიან. მიწის, ბეტონის, დასატვირთავ-გადმოსატვირთავ და სხვა სამუშაოთა მთელი რიგი პროცესები ჯერ კიდევ ხელით სრულდება. და ეს, როგორც ჩანს, იმიტომ ხდება, რომ კონსტრუქტორები და ქარხნები უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ მძლავრ მანქანებს, პატარა მარტივი მანქანებითა და სამარჯვებით თავის შეწუხება კი არა სურთ.

ამხ. მალცევი საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ სხვადასხვა სამარჯვები, რომლებიც აადვილებენ მშენებელთა შრომას და ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, მშენებლობებზე კი არ მზადდებოდეს, არამედ მათ მრეწველობა აკეთებდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მექანიზაციას ასაწყობი რკინაბეტონის, ქვის, ხის დამუშავების, სამღებრო სამუშაოების დარგში, აგრეთვე მაღალხარისხოვანი და მოხერხებული ხელის ინსტრუმენტის დამზადებას.

დიდი მასშტაბით ხორციელდება უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა, — თქვა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ს. კ. ზიადულაევმა**. — შენდება სახალხო მოხმარების საგნების დამამზადებელი საწარმოები. ტაშკენტში დაწყებულია სატელევიზიო ცენტრის, კინოსტუდიის, გაზეთებისა და ჟურნალების დიდი კომბინატისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა მშენებლობა. იქმნება წყალსაცავები, არხები და სხვა ობიექტები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ ბამბის მოსავალი.

შემდეგ ამხ. ზიადულაევი ლაპარაკობს იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც აფერხებენ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებას.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პ. ს. **ნეპოროჟნიმ** განაცხადა, რომ ძირითად მოხსენებებსა და სექციების სამუშაო გეგმებში საკმაო ყურადღება არა აქვს დათმობილი ისეთი უდიდესი მნიშვნელობის დარგს, როგორიც არის სასოფლო მშენებლობა. უკრაინაში ამ უკანასკნელ დროს აგებულია მეცხოველეობის 200 ათასამდე შენობა და კოლმეურნეთა ერთ მილიონამდე სახლი. მაგრამ უნდა გადაწყდეს საკითხთა მთელი კომპლექსი სოფლად მშენებლობის უკეთ მოწყობის მიზნით. ეს არის ტიპური პროექტების დაგეგმვისა და შექმნის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და მექანიზაციის დანერგვისა და ადგილობრივი მასალების ფართოდ გამოყენების საკითხები.

მოსკოვის წარჩინებულმა მშენებელმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. **ი. პ. შირკოვმა** თათბირის მონაწილეებს უამბო ქარხნებიდან სამშენებლო მოედნებზე აგურის მიზიდვის მის მიერ შემუშავებული ახალი, ეგრეთწოდებული პაკეტური წესის შესახებ: პრაქტიკამ ცხადყო, რომ აგურის ტრანსპორტირების ასეთი მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია, იგი ათავისუფლებს მუშებს მძიმე და მცირენაყოფიერი ხელით შრომისაგან დატვირთვისა და გადმოტვირთვაზე. მაგრამ, აღნიშნა ამხ. შირკოვმა, მშენებელმა ორგანიზაციებმა აქამდე ძლიერ ცოტა რამ გააკეთეს იმისათვის, რომ აგურის გადაზიდვის ეს წესი ფართოდ იქნას გამოყენებული.

4 დეკემბერს თათბირის მონაწილენი იმუშავებენ სამრეწველო, სატრანსპორტო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, სამშენებლო კონსტრუქციების, დეტალებისა და მასალების, არქიტექტურისა და ტიპური დაპროექტების, ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის და სამშენებლო და საგზაო მანქანების წარმოების, მშენებლობის ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობის სექციებში. (საკდესი).

# პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე

**სტალინირი.** (საკ. კორ.). გაიმართა სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებამ მოისმინა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ი. კუდუხოვის მოხსენება იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, საოლქო პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ. აქტივის კრებაზე ითქვა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ღრმად ვერ სწვდება კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საკითხებს.

კამათში გამოსულებმა მწვავედ გააკრიტიკეს ლექციური პროპაგანდის სერიოზული ნაკლოვანებანი. წაკითხული ლექციების იდეური დონე დაბალია. რაიკომების ლექტორთა ჯგუფები ლექციებს უმთავრესად ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მართავენ. ლენინგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონებში ნაკლებად იკითხება ლექციები საბუნებისმეტყველო თემებზე.

აქტივის კრებამ გამოამჟღავნა არსებითი ნაკლოვანებანი საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდა მასებში.

კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძოდ საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. აღინიშნა აგრეთვე დიდი ნაკლოვანებანი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებისა და საოლქო გაზეთების საქმიანობაში.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

* * *

**ბათუმი.** (საკ. კორ.). საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა იდეოლოგიური მუშაობის საკითხები. მომხსენებელმა — პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. უკლებამ და კამათში სიტყვებით გამოსულებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რომელსაც ქალაქის პარტიული ორგანიზაციები საგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის გასაუმჯობესებლად ეწევიან. მაგრამ მთავარი ყურადღება იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას დაეთმო.

როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, პარტიული განათლების ქსელში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეცადინეობის იდეურ დონეს. პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ სერიოზული შეცდომები დაუშვა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის საქმეში. პარტიული ბიბლიოთეკა კვალიფიციურ დახმარებას ვერ უწევს პროპაგანდისტებს, სემინარებზე მათ არ ეძლევათ სათანადო მეთოდური რჩევა-დარიგება, არ ხდება მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილების განზოგადება.

დიდი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ქალაქის სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების მუშაობის ნაკლოვანებანი.

განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ.

* * *

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). შედგა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კომპარტიის ც. კ-ის პლენუმის შედეგებისა და იდეოლოგიური მუშაობის დაყენებაში საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ხიდაშელმა.

პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად სწავლების საკითხებზე. მოხსენებიდან და კამათის მონაწილეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დიდი უმრავლესობა აქამდე არ შესდგომია მეცადინეობას, ხოლო პარტიული ორგანიზაციები მათ ნაკლებ დახმარებასა და კონტროლს უწევენ. მათთვის იშვიათად ეწყობა კონსულტაციები, ცოტა იკითხება მაღალკვალიფიციური ლექციები.

კამათში სიტყვებით გამოსულებმა ამხილეს სერიოზული ნაკლოვანებანი თეატრის, კულტურის სახლის, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობაში. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პლენუმმა მიიღო დადგენილება.

* * *

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). ჩატარდა პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. კაციტაძემ.

კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებანი და წამოაყენეს წინადადებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

* * *

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა რაიონული პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის საკითხების განხილვას მიეძღვნა. მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ჩიქავამ და კამათის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის სუსტ მხარეებზე. ცაიშისა და ოდიშის კოლმეურნეობების, აგრეთვე ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება. ბევრია ნაკლი სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. კამათის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს მტს-ის ზონაში რაიკომის მდივნისა და ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობა, რომლებიც კონკრეტულ დახმარებას ვერ უწევენ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესებაში.

იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად რაიონული პარტიული აქტივის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

* * *

**ხაშური.** (საკ. კორ). შედგა რაიონული პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ქვლივიძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიული პროპაგანდის იდეური დონის ამაღლების საკითხებს. აქტივის კრებამ პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისაგან მოითხოვა უფრო მეტი დახმარება გაუწიოს პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

იდეოლოგიური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

# მწყობრში ჩადგა კამის ჰესის პირველი რიგი

**მოლოტოვი,** 3 დეკემბერი. (საკდესი). კამის ჰიდროკვანძის მშენებლებმა კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს: დღეს თხუთმეტ საათზე ადგილობრივი დროით ურალის ენერგორგოლს სამრეწველო დენი მისცა ჰიდროელექტროსადგურის პირველი სექციის უკანასკნელმა — მეექვსე აგრეგატმა. იგი დამონტაჟებულია სარეკორდო მოკლე ვადაში — თვრამეტ დღეში.

ჰიდროტურბინგენერატორის ჩქაროსნულ აწყობას ხელს უწყობდა მთელი რიგი სიახლენი, რომლებიც შემოიღეს მემონტაჟეებმა. პანენკოვის ბრიგადამ, რომელმაც გენერატორის როტორის მონტაჟზე გამოიყენა დიდი კვანძების მეთოდი, საექსპლოატაციოდ გადასაცემად მოამზადა იგი ერთიორად უფრო სწრაფად, ვიდრე პირველი მანქანის როტორი, და ხუთი დღით ადრე, ვიდრე მეხუთე მანქანის როტორი.

მეექვსე ჰიდროაგრეგატი ამუშავდა ვადაზე თითქმის ერთი თვით ადრე. მისი ამუშავებით მშენებლობის კოლექტივმა დაამთავრა კამის ჰიდროკვანძის პირველი რიგის მშენებლობა. გარდა ექვსი აგრეგატისა, რომლებიც პირველი რიგის ნაგებობათა კომპლექსში შედის, აშენდა სანაოსნო რაბი, რომელშიც განვლილი ნავიგაციის დროს გაატარეს ექვსმილიონნახევარ კუბურ მეტრამდე ხე-ტყე.

იმისათვის, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცათ კამის ჰესის პირველი რიგი, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის საშუალებით შეასრულეს უდიდესი მასშტაბის სამუშაოები. ჰიდროკვანძის მშენებლობის დაწყებიდან გადამუშავებულია თხუთმეტნახევარ მილიონზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი, ნაგებობებში ჩასხმულია რვაას ორმოცდაათ ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დადგმული და დამონტაჟებულია სამოც ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქცია და ხიმინჯი.

ახლა მშენებლები და მემონტაჟეები ყველა ღონისძიებას ხმარობენ, რათა 1955 წელს ასეთივე სწრაფი ტემპით დაამთავრონ ჰიდროელექტროსადგურის უკანასკნელი — მეოთხე სექციის მშენებლობა.

სულ უნდა ამუშავდეს 24 აგრეგატი, თითოეულ სექციაში — ექვსი აგრეგატი.

# დავიცავთ დიად მონაპოვარს

## აგიტატორის საუბრის ჩანაწერი

როგორც კი სამგორის ველს მიუახლოვდებით, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს შემოქმედებითი შრომის დიდებული პანორამა: დათოვლილი გორაკების ქვემოთ მოჩანს სარწყავი არხებით დასერილი მინდვრები, ნორჩი ნარგავების ზოლი, ტრაქტორების მიერ გადახნული ყამირი მიწები. შორს მიმზიდველად ლივლივებს თბილისის ზღვა...

მინდვრებსა თუ ბაღ-ბოსტნებში კოლმეურნეები და მექანიზატორები უქმად წუთსაც არ კარგავენ, ამთავითვე ემზადებიან გაზაფხულისათვის, საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

შებინდებისას, დანიშნულ დროზე, ელექტროშუქით გაჩირაღდნებულ მეცხოველეობის ფერმაში თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა. მათ აგიტატორი ლავრენტი კორძახია ესაუბრა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შესახებ. აგიტატორმა ცოცხლად, დამაჯერებლად აღწერა სახელოვანი ბრძოლებისა და გამარჯვების წლები, სოფელ დიდი ლილოს წარსული და აწმყო.

* * *

— სით მიიჩქარი, ძმობილო?

— ქალაქისაკენ, ლუკმაპურის საშოვნელად...

— მეც შენს ბედში ვარ, — გულისტკივილით ეტყოდა გლეხკაცი მეზობელს. ისინი სტოვებდნენ მშობლიურ გომურებს და შორეული ადგილებისაკენ მიემგზავრებოდნენ. ვიწრო, ატალახებულ ორღობეებში ნაღვლიანად მიჭრიალებდნენ ურმები. გაძვალტყავებული ლილოელი გლეხკაცი წუხდა თავის გაჭირვებას, სიღატაკეს, სიბნელეს, სიცივეს.

აგიტატორმა ცოცხალ მემატიანეთა — მოხუცთა გადმოცემის მიხედვით დამსწრეთა თვალწინ გადაშალა ძველი სოფლის დამახასიათებელი სურათები. ილაპარაკა იმაზეც, რომ დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში მიწის მუშა მონაა, მას უკანასკნელ სისხლსა სწოვენ, რომ იქ გლეხები მშიერ-მწყურვალნი, უუფლებონი, დაბეჩავებულნი არიან.

— ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, — განაგრძო აგიტატორმა, — გაეხსნა მშრომელ ხალხს ცხოვრების ნათელი, ნამდვილი გზა. დიადმა ქარტიამ — გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციამ სიხარული და ბედნიერება დაგვიმკვიდრა.

თვრამეტი წლის წინათ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუცია. მასში ჩაწერილი და კანონმდებლობით განმტკიცებულია ყოველივე ის, რაზეც საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები, ის, რისთვისაც იბრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ მამა-პაპები.

საბჭოთა კონსტიტუციის დროშით ჩვენმა ხალხმა კიდევ უფრო განამტკიცა საყვარელი სამშობლოს — სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, დიდ სამამულო ომში ღირსეულად დაიცვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საუბარში ჩაერია კოლმეურნე დ. თიგიშვილი:

— ამ სახელოვან ბრძოლებში ბევრმა ლილოელმა ვაჟკაცმა გამოიჩინა გმირობა და თავდადება. აი თუნდაც ჩვენი შ. თიგიშვილი. იგი დიდი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილეა.

შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული არიან ლილოელი კოლმეურნეები, მექანიზატორები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ისინი თავდადებით მუშაობენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის. დღითიდღე ვითარდება მეცხოველეობა, იზრდება მარცვლეულის, ბოსტნეულის მოსავლიანობა, განუხრელად უმჯობესდება კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობა.

ამ დღეებში უხვი მოსავლის მიღების, პურის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გარდუბნის რაისაბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ივრის წყლით გამოცოცხლებულ მიწაზე ბაღ-ბოსტნების გვერდით ლილოელები ახლა თესავენ პურს, სიმინდს. მკვდარი მიწა გააცოცხლა საბჭოთა ადამიანის მარჯვენამ. მექანიზაციის გამოყენებით აქ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ჰექტარისა 75 ჰექტარზე დათესეს სიმინდი და შემდეგ მონდომებით მოუარეს მას. საამაყოა მიღებული შედეგი: საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვლეული მოიყვანეს! სიმინდის ასეთ მოსავალზე წინათ ლილოში ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

— ის, რაც აქამდე გაკეთდა, არ კმარა, წინ კიდევ უფრო დიდი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. გიორგაძე.

აგიტატორმა ილაპარაკა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, იქ ლილოელ კოლმეურნეთა მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე, მოწინავე გამოცდილების დანერგვაზე.

მართალია, ლილოშიც უკვე ზამთრის სუსხმა დაჰბერა, მაგრამ ფერმაში პირუტყვი კარგად გრძნობს თავს. მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ მეხბორე დ. თიგიშვილი, მწველავები თ. ვანიშვილი, ს. ქელდიშვილი და ა. ავალიშვილი... მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს თ. ოქრუაშვილმა, ქ. ბაგაშვილმა...

— წელს ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა კოლმეურნე ვ. გაბათაშვილმა, — რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სიგელით დააჯილდოეს. მომავალი წლისათვის კი იმას მივაღწევთ, რომ ჩვენი ძროხები, ცხვრები, ცხენები სანიმუშონი იყვნენ, ერთიორად გავზრდით პროდუქტიულობასაც.

მემინდვრე თუ მექანიზატორი, მებოსტნე თუ მეხბორე — ყველა ერთი ფიქრითა და გრძნობით არის გამსჭვალული: იმუშაონ კიდევ უკეთესად.

— შარშანდელ შეცდომებს ჩვენი ცხვრის ფარების მოვლა-პატრონობაში წელს აღარ დავუშვებთ, — დაბეჯითებით ამბობს კოლმეურნე დ. თიგიშვილი.

როგორც ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ისე ლილოშიც ბედნიერება და სიხარულია მშრომელთა ოჯახებში. აგიტატორმა მსმენელებს გაახსენა ლილოელი მთქმელის გ. გაბარაშვილის ლექსი:

...სახლი დავიდგი, ავშენდი,
გაქრა ძველი დრო წყევლისა;
ავტოთი დავალ მინდორში,
ნაცვლად ურემზე ნჯღრევისა!..

მიწური გომურების კვალი სამუდამოდ წაიშალა. საითაც გაიხედავთ, ყველგან კეთილმოწყობილი სახლებია. ამას წინათ ახალ, ნათელ საცხოვრებელ ბინებში შესახლდნენ შრომაში დავაჟკაცებული კოლმეურნეები შ. თიგიშვილი, გ. გაბათაშვილი...

გულს ახარებს ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული ლილოელთა ბინები. სოფლის ცენტრშია კულტურის სახლი, სკოლა, საავადმყოფო, ფოსტა, აფთიაქი, საბავშვო ბაგა. სოფელში გაყვანილია რადიოქსელი, მუშაობს ტელეფონის სასოფლო კომუტატორი. შარაგზაზე დაჰქრიან ავტომანქანები. სპეციალურ ავტობუსს სამგორში ახლად დამკვიდრებულ ოსხეველთა ბავშვები ლილოს სკოლაში გადმოჰყავს და შემდეგ უკანვე აბრუნებს.

ლილოელები სიამაყის გრძნობით იხსენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ყამირი მიწების ასათვისებლად გაემგზავრნენ. დიღმის მტს-ის კომბაინერმა რ. გიგაურმა პატრიოტული შრომით ისახელა სამშობლო: ყაზახეთში 13 დღეში 146 ჰექტარის ნაცვლად 277 ჰექტარზე აიღო მოსავალი, თანაც 600 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

მწველავმა ზ. ოქრუაშვილმა ჩაურთო:

— არც ჩვენი თანასოფლელი, კომბაინერი გიგლა გაბათაშვილი ჩამორჩა მას, მარჯვედ დაეხმარა ყაზახ მეგობრებს. იქ, ყამირ მიწაზე, მოსავლის აღებაში ისახელა თავი და ჩვენც გვასახელა.

ლილოელები ერთსულოვნად იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას. ლილოელთა ფიქრი და გრძნობა გამოხატა სამამულო ომის მონაწილემ შ. გაბათაშვილმა:

— დაე იცოდნენ აგრესორებმა, რომ ყოველი მათი ცდა — დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება — გაცამტვერებულ იქნება. მკერდით დავიცავთ ჩვენს დიად სოციალისტურ მონაპოვარს.

* * *

კარგად დაბინდდა, როცა ელექტრონათურებით გაჩირაღდნებულ კულტურის სახლში მოთავსებულ აგიტპუნქტში კოლმეურნეთა ახალი ჯგუფი მოვიდა. აგიტატორები მ. ბოჟაძე, რ. გაბათაშვილი და ა. შენგელია მათ ესაუბრნენ საბჭოთა ადამიანების ნათელ ცხოვრებაზე, საკოლმეურნეო წარმოების მიღწევებზე, სახალხო სასამართლოების არჩევნებზე. კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ინტერესით კითხულობს აგიტპუნქტის კედლის გაზეთის „ამომრჩევლის ხმის" მორიგ ნომერს, რომელიც აგიტპუნქტის გამგის გ. ჩომახიძის რედაქტორობით გამოვიდა.

თოვამ იმატა, ქუჩებში ბავშვების ჟრიამული ატყდა...

სამგორის გაშლილ ველზე დიდებულად ჩანს ილიჩის ნათურებით ქალაქის მსგავსად გაკაშკაშებული სოფელი დიდი ლილო.

ა. გოცირიძე.

## მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონში ფართოდ გაიშალა მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. შექმნილია 3 საარჩევნო ოლქი და 49 საარჩევნო პუნქტი. ორი ათასზე მეტი აგიტატორი მუშაობს ამომრჩევლებთან.

კარგად მოაწყო საარჩევნო აგიტაცია საბურთალოს აგურის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა უკვე დაამტკიცა რწმუნებულები საარჩევნო ოლქებისა და პუნქტებისათვის. შეიქმნა დამთვლელი კომისიები. მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება.

ა. სამსონია.

* * *

ოჩამჩირის რაიონში ყოველდღიურად ძლიერდება მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. მუშაობას შეუდგნენ საარჩევნო პუნქტები. აგიტატორები ამომრჩეველთა შორის მართავენ საუბრებს არჩევნების დებულების, საბჭოთა კონსტიტუციისა და სხვა საკითხებზე.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საარჩევნო პუნქტებში იმართება ლექციები საბჭოთა საკანონმდებლო სისტემის, საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობის, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ვ. დოხნაძე.

## გამოფენის მონაწილის მოწმობებისა და მედლების გადაცემა

ქობულეთი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსან ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა მუშებისა და სპეციალისტების საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის მოწმობებისა და მედლების გადაცემას.

კრება გახსნა მეურნეობის დირექტორმა ა. გოგიტიძემ.

— საბჭოთა მეურნეობა, რომელიც წელს ფართო ჩვენებით წარსდგა გამოფენაზე, — თქვა მან, — მომავალ წელს კვლავ რჩება გამოფენის მონაწილედ. ჩაის ზოგიერთი სამუშაოს მექანიზაციის განხორციელებით მიღწეულია საშუალო მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა და თვითეული კილოგრამი ჩაის თვითღირებულების შემცირება. ამ გზით მიღებულია 14,5 მილიონი მანეთის დაგროვება.

კრებაზე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის მოწმობები და მედლები გადაეცა 53 კაცს. ოჩხამურელ მეჩაიეებს მოწმობები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კოლეგიის წევრმა ბ. აბესაძემ.

კრებაზე სიტყვებით გამოსულებმა აგრონომმა პ. თავართქილაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. სტოიაკინამ, ბრიგადირმა კ. სობოლევამ და სხვებმა მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი, გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# სასარგებლო წიგნი მევენახეობაზე

ყურძნის მოსავლიანობის გადიდება, ღვინის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული თვით ვაზის ჯიშზე. საქართველოში 500-მდე ადგილობრივი ვაზის ჯიშია აღწერილი, რომელთაგან ზოგიერთი უძვირფასესია როგორც მოსავლიანობით, ისე პროდუქციის ღირსებით. ასეთებს მიეკუთვნება: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკაური, ციცქა, ხიხვი, ჩინური, გორული მწვანე, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი და მრავალი სხვა.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ მხარის ბუნებრივ პირობებში აღზრდილი და აკლიმატიზებული ქართული ვაზის ადგილობრივი ასორტიმენტი სულ სხვადასხვა ღირსების პროდუქციას იძლევა, რაც სხვა ფაქტორთა ზემოქმედებასთან ერთად მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე ჯიშის სპეციფიკურ თვისებებზე.

ყურძნის მოსავლიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გამომუშავების დროს საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შესწავლილ იქნას ჯიშის ეს სპეციფიკური თვისებები, რომელთა საფუძველზე უნდა დადგინდეს მისი დიფერენცირებული აგროტექნიკა.

ამ საკითხების შესწავლას მიუძღვნა ამხ. დ. ტაბიძემ თავისი კაპიტალური ნაშრომი: „კახეთის ვაზის ჯიშები". ამ შრომაში წარმოდგენილია კახეთში გავრცელებული ვაზის ადგილობრივ ჯიშებზე ავტორის მიერ მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობის შედეგები.

ყურძნის ჯიშები, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ავტორი, ძირითადად დამყნობილი და გაშენებულია თელავის ზონალური საცდელი სადგურის ვაზის საკოლექციო ნაკვეთში, თბილისის რაიონის დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექციის ვენახში და ზესტაფონის რაიონის საქარის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაში, ნაწილი კი რესპუბლიკის მევენახეობის სხვა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

დ. ტაბიძის შრომის ზოგად ნაწილში მოცემულია მთელი რიგი რაიონების საერთო დახასიათება, აღწერილია ზონების მიხედვით ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებისა და ნიადაგების აღწერა, მოცემულია აგროკლიმატური მიმოხილვა, რაიონების მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა, ვენახის ჯიშობრივი შემადგენლობა და მევენახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. შრომის სპეციალურ ნაწილში მოცემულია ვაზის 60 ჯიშის ბოტანიკური აღწერა აგრობიოლოგიური და სამეურნეო ტექნოლოგიური დახასიათებით.

ავტორი კარგად მოქცეულა, რომ შრომაში მოუცია გავრცელებული ვაზის სტანდარტული ჯიშების (საფერავი, რქაწითელი, მწვანე), აგრეთვე მის მიერ გამოვლინებული პერსპექტიული ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშების (ქისი, ჩიტისთვალა, გრძელმტევანა, წითელი ბუდეშური და სხვ.) სრული ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ავტორის ინიციატივაა ამ გამოვლინებული პერსპექტიული ჯიშების გამრავლება და ფართოდ გამოცდა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ვაზის ჯიშების ბოტანიკურ, აგრობიოლოგიურ და სამეურნეო-ტექნოლოგიურ თვისებათა შესწავლის საფუძველზე ავტორის მიერ საბოლოოდ დამუშავებულია ვაზის ჯიშთა განლაგება და კახეთის მევენახეობის რაიონების სპეციალიზაცია. ამ დანიშნულებით გამოყოფილია ოთხი ბუნებრივ-ისტორიული მიკრორაიონი, რომლებშიც წარმოდგენილია ოცი მიკრორაიონი. ისინი კი თავის მხრივ დაყოფილია ცალკეულ ზონებად. მიკრორაიონებისა და ზონების მიხედვით მოცემულია მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი მიმართულებანი (სუფრის ყურძნის, სუფრის ღვინის, შამპანურის, სადესერტო ღვინისა და კონიაკის წარმოება) და ნაჩვენებია სტანდარტული და პერსპექტიული ვაზის ჯიშები.

დ. ტაბიძის შრომა ორიგინალურია. მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს როგორც წარმოებაში მომუშავე აგრონომებს, ისე საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობას.

შრომა თავისუფალი არ არის ზოგიერთი ნაკლისაგან.

ვაზის ზოგიერთი ჯიშის მიმართ მოცემული არ არის დიფერენცირებული აგროტექნიკა (ვაზის გასხვლა-ფორმირება და დატვირთვა კვების არესთან დაკავშირებით), ჯიშის სპეციფიკურ თვისებათა მიხედვით. ამ საკითხების დამუშავებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აგრობიოლოგიური საკითხებიდან პერსპექტიული ჯიშების მიმართ ცოტაა ნათქვამი აფინიტეტის (შეხორცების) უნარზე მთავარ საძირე ჰიბრიდებთან. თანაბარი სისრულით არ არის მოცემული სტანდარტული ჯიშების აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ნაშრომი შედარებით მცირე მასალებს შეიცავს ისტორიულად ცნობილ ჯიშ ხიხვზე და ნაწილობრივ მწვანეზე.

წიგნში ვხვდებით ტექნიკურ შეცდომებს. მაგალითად, თავის ადგილას არ არის მოთავსებული ხარისთვალა თეთრის, მხარგრძელისა და კახური თითას ყვავილის ტიპის სურათები, რის გამო ტექსტი არ შეესაბამება სურათს. გვხვდება კორექტურული შეცდომებიც; ამავე დროს დართული არ არის შეცდომათა გასწორების ფურცელი.

აღნიშნულის მიუხედავად დ. ტაბიძის წიგნი სასარგებლო ნაშრომია მევენახეობის ლიტერატურაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საჭიროდ მიგვაჩნია გაგრძელდეს მუშაობა ამ დარგში და რაც შეიძლება მალე გამოქვეყნდეს ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ვაზის ჯიშების ამპელოგრაფია (აღწერილობა).

პროფესორი მ. რამიშვილი.

# ალმავლობის გზაზე

## 1. სურათი წარსულიდან

— ხარიტონა, ხარიტონა! — ყვიროდა ღამის უკუნეთში რიონის პირას მდგომი მგზავრი და წისქვილისაკენ მიმავალ ბილიკს ეძებდა. — ოჯახქორმა ისეთი ძილი იცის, ზარბაზნის ქუხილსაც ვერ გაიგებს, თორემ ჩემს ყვირილს რა გააღვიძებსო, — ფიქრობდა იგი.

ცრიოდა. შემოდგომის გაუთავებელი წვიმა ძვლებამდე ატანდა, დაგვიანებული მგზავრი რიონს გაღმა მიეშურებოდა, მაგრამ ხიდი არ იყო, ერთადერთი ბორანი მდინარის მეორე ნაპირას მიებათ და მგზავრს ახლა ისღა დარჩენოდა, რომ გიორგობიანის იმ წისქვილში გაეთია ღამე, რომელსაც ნახშირივით შავი, მუდამ თმაგაბურძგნული უცოლშვილო ხარიტონი განაგებდა.

ყვირილზე რომ არავინ უპასუხა, სიცივისაგან შეწუხებულმა მგზავრმა ღობიდან სარი ამოაძრო, ხელში მოიმარჯვა და გაუვალი ტალახით დაფარულ ბილიკს დაადგა.

ეძინა წისქვილს, გაჩერებულიყო დოლაბები. საფქვავი შემოკლებოდა ხარიტონს. და მისი ხვრინვა წვიმის ხმაურს ერთვოდა.

...ნამძინარევი მეწისქვილე გარეთ გამოვიდა, ცალ ხელში ანთებული ჭრაქი ეჭირა, მეორით კი თვალებს იფშვნეტდა:

— ასეთ ამინდში კარგი პატრონი გარეთ ძაღლსაც არ გააგდებს და შენ რაღა დაგემართა? ახლოს მოდი, კაცო. ოო, კიტო ხარ? გაგიმარჯოს, ჩემო კიტო... — ამბობდა ხარიტონი და მგზავრს წისქვილში ეპატიჟებოდა.

დიდხანს არ უსაუბრიათ კიტოსა და ხარიტონს. მალე კუპრივით ჩაშავებული ციდან სეტყვა წამოვიდა, ყავრით დახურულ წისქვილში ხმაური დადგა. შემოთითხნულმა კიტომ კარი გამოაღო. კაკლისოდენა სეტყვა ანადგურებდა ვენახებს, ოფლითა და წვალებით დამუშავებულ ყანებს. ბოლომა [illegible] გლეხს. გაურკვეველი მისამართით შეიკურთხა და როცა ზეცაზე ელვა გაიკლაკნა, ღვარძლიანად შესძახა:

— გაუნათე, გაუნათე, თორემ ვერ ხედავს აი!

დაილუპა წლის სარჩო. ვინ იცის, რამდენი გლეხის ოჯახი ატირდა იმ ღამეს, რამდენმა დასწყევლა დაბადების საათი.

ასე იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მწირ მიწებზე დასახლებულ რაჭველ გლეხს ყველაფერი ემტერებოდა: სიღარიბე, გვალვა, სეტყვა, მეწყერი. ამიტომაც სწავლობდა იგი ხუროობას, კალატოზობას, მეპურეობას, მზარეულობას, რათა ზამთრობით მშობლიური კუთხიდან წასულიყო შორს ლუკმაპურის საშოვნელად.

ეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნის. აღარ არის ძველი ბორანი ამბროლაურის ახლოს. სამაგიეროდ რკინაბეტონის ხიდზე ავტომანქანები დასრიალებენ, რკინაბეტონისავე ხიდი ამშვენებს მდინარე კრიხულას, გზის სხივებზე თეთრად ქათქათებენ საბჭოთა ადამიანების ხელით აგებული ახალი შენობები, მოასფალტებული ქუჩები. ამბროლაურის სიამაყეა კულტურის სახლი, საჯარო ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, სასტუმრო. გამოიზარდნენ აქაური ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, საკოლმეურნეო ცხოვრების ნიჭიერი ორგანიზატორები.

## 2. ერთი მათგანი

პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომა გვიან დამთავრდა.

ზოოტექნიკოსი როსტომ ნატმელაძე, რომელიც სოფელ წესის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ შეარჩიეს, შენობიდან დაფიქრებული გამოვიდა, ჩაჯდა ავტომანქანაში და, სანამ სოფელში არ შევიდნენ, ხმა არავისთვის გაუცია.

მალე კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება უნდა შემდგარიყო, და როსტომმა თავის სიცოცხლეში პირველად გამოსცადა უძილო ღამეები. საფიქრებელი ბევრი ჰქონდა: ჯერ-ერთი, აირჩევენ თუ არა მეზობლები სოფლის თავკაცად, მას ხომ ჯერ ცხოვრების დიდი გამოცდილება არა აქვს, და, მეორეც, გაუძლებს თუ ვერა კოლმეურნეობას, რომელიც წლობით ჩამორჩენილი და რაიონში მუდამ სალანძღავი იყო?

— ერთი სიტყვით, — ეუბნებოდა თავის თავს როსტომი, თუ აგირჩიეს, მოდი ნუ შერცხვები, იმუშავე ისე, როგორც კომუნისტს შეეფერება...

აირჩიეს. მართალია, რამდენიმე კაცმა ეჭვი გამოთქვა, მაგრამ კენჭისყრისას უმრავლესობამ მაინც მის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

ლამაზი სოფელია წესი. იგი მდებარეობს რიონის ვიწრო ხეობაში, ორივე მხრიდან სოფელს ტყით შემოსილი მთები აკრავს, ხოლო ქვემოთ—კლდოვანი ციცაბოები. სწორედ ამ კლდეებს ეხრძვის რიონი და ეს ორთაბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრებულა, მდინარეს ორად გაუპია უზარმაზარი კლდე და გაზაფხულობით ზათქით, ღრიალით მიედინება ამ ვიწროებში.

სოფელში კი სიჩუმეა. იგი განსაკუთრებით იგრძნობოდა იმ დღეს, როცა ახლადარჩეული თავმჯდომარე პირველად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. როსტომი უთენია ადგა, ცივი წყლით პირი დაიბანა და ბექობზე დადგა.

მთებიდან მზე ამოდიოდა, სამუშაოზე გამოსული კი არავინ ჩანდა. ოდასახლებიდან ამოსული კვამლი ზეცაში სვეტებად იდგა. სოფლის სიწყნარემ გული ატკინა როსტომს და მან გადაწყვიტა დღეიდანვე შებრძოლებოდა დროისათვის შეუფერებელ ამ სიჩუმეს.

პირველ ხანებში თავმჯდომარე თავს მარტოდ გრძნობდა, შემდგომში ეს გრძნობა სხვა რამემ შეცვალა. ეს იყო სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების მხარდაჭერა.

სამასამდე კომლია კოლმეურნეობაში, და არ დარჩენილა ოჯახი, რომ ახალი თავმჯდომარე იქ არ მისულიყოს, თვითეული კოლმეურნის ავი და კარგი არ გაეგოს.

ეს იყო როსტომის მიერ მოფიქრებული გეგმის პირველი პუნქტი. ამას მოჰყვა სხვადასხვა მიზეზით სოფლიდან წასულ ადამიანებთან მიწერ-მოწერა.

— ამხანაგო დავით! — სწერდა ნატმელაძე კოლმეურნე გურაბანიძეს, — როგორც გავიგე, თქვენ მშენებლობაზე ყოფნის დრო გითავდებათ, ამიტომ გთხოვთ დაბრუნდეთ, ვიშრომოთ ერთად ჩვენი კოლმეურნეობის გასამტკიცებლად...

გურაბანიძე სოფელს დაუბრუნდა, კოლმეურნეობის ერთ-ერთ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. მალე იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

წესში ჩამოვიდნენ დემობილიზებული მებრძოლები. როსტომმა ვეღარც კი იცნო ჯარისკაცულ გიმნასტურაში გამოწყობილი, კისერდასქელებული ვახტანგ მაისაშვილი, აკაკი და შოთა ნატმელაძეები.

— რას აპირებთ, ბიჭებო, დასვენებას თუ მუშაობას? — შეეკითხა თავმჯდომარე.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ზოგიერთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სადმე სამსახურში ჩადგომა, კოლმეურნეობის შრომადღეები მაინცდამაინც სახარბიელო შემოსავალს არ იძლეოდა. მათი აზრით, არმიაში ნამსახურ კაცს უფლება აქვს ცოტა იოლ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ამიტომ როსტომის პირდაპირ შეკითხვაზე ბიჭები შეცბუნდნენ და პასუხს აგვიანებდნენ.

— არა მგონია სოფელს უღალატოთ, დეზერტირობას, ვფიქრობ, არ იკადრებთ, — აგრძელებდა თავმჯდომარე.

მებრძოლებთან საუბარი მალე როდი დამთავრდა, თუმცა მას კარგი შედეგი მოჰყვა. ვახტანგ მაისაშვილი და ნატმელაძეები სოფლიდან არსად არ წასულან და ახლა წარჩინებული მწყემსები არიან.

ერთ დღეს როსტომს თანასოფლელი ბიკენტი ჩელაშვილი შეხვდა. ბიკენტი ზოოტექნიკოსად მუშაობდა, და ერთმანეთი დიდიხანია არ ენახათ. მეგობრები ვენახის ბოლოს ჩამოსხდნენ, აქეთ-იქითური მოიკითხეს, შემდეგ როსტომმა საუბარს სხვა მიმართულება მისცა.

— ბიკენტი! გულზე ხელი დაიდე და მითხარი, კანცელარიაში ყოფნას ცოცხალი საქმე არ გირჩევნია?

— საქმეც არის და საქმეც.

— აი, მაგალითად, ბრიგადირობა რომ იკისრო, დაშავდება რამე? განა უფრო სასახელო არ არის...

ბიკენტი ჩაფიქრდა. კრებებსა თუ თათბირებზე მასაც ბევრი მხურვალე სიტყვა უთქვამს საკოლმეურნეო წარმოების ზრდისა და საერთოდ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შესახებ. ეს ახსოვს როსტომს. ჰო და, ახლა უარი რომ თქვას, თავმჯდომარეს შეუძლია მოურიდებლად უთხრას: — ლაპარაკი კი გყვარებია, მაგრამ საქმით რითი გვეხმარები, ყბედი ყოფილხარ... აქ ბიკენტიმ ფიქრი შეწყვიტა და ფეხზე წამოდგა:

— წავალ ბრიგადირად, მხოლოდ პირველ ხანებში დახმარება დამჭირდება.

ჩელაშვილის მაგალითს საშუალო განათლების გიორგი გოგიბერიშვილმა და ბაბილინა კობერიძემაც მიბაძეს.

კარგა ხანია თანასოფლელებს ახალგაზრდა თავმჯდომარის სახეზე ღიმილი არ ენახათ, მაგრამ როცა საქმე სასიკეთოდ შემობრუნდა და პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით სოფელი ერთ მთლიან ორგანიზებულ კოლექტივად გადაიქცა, მის სახესაც ნელნელა სიხარულის ღიმილი შეეპარა.

ორი თვის შემდეგ, სისხამ დილით როსტომი სწორედ იმ ბექობზე იდგა, საიდანაც თავმჯდომარედ არჩევის მეორე დღეს სოფელს დასცქეროდა. ნატმელაძე მარტო არ იყო, მის გვერდით გულითადი მეგობარი, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი დავით გურაბანიძე იდგა.

ეს იყო 1952 წლის შემოდგომაზე.

## 3. ზრდის კანონი

კოლმეურნეობის კანტორაში ვართ. ბუხჰალტერი რაიონის ცენტრში საქმეზე წასულა, ამიტომ როსტომ ნატმელაძე თვითონ აჩხაკუნებს საანგარიშოს, ერთმანეთს ადარებს შარშანდელ და წლევანდელ შემოსავალს, ანგარიშობს, რომელი ოჯახი რამდენ ღვინოს, ფულსა და მარცვლეულს მიიღებს.

თავმჯდომარე, მართალია, ანგარიშშია გართული, მაგრამ ბრიგადები და ფერმები არ ავიწყდება, დროდადრო ყურმილს იღებს და სათითაოდ ყველა ბრიგადირს უხმობს.

— სოფლის ტელეფონიზაციამ დიდი საქმე გააკეთა, ახლა ყველა ბრიგადასთან და ყველა ფერმასთან გვაქვს სატელეფონო კავშირი, ეს არის ჩვენი სადისპეტჩერო, — ამბობს როსტომი.

შემდეგ ისევ საანგარიშოს მიუბრუნდა, ქაღალდზე ციფრები ჩამოწერა და ღიმილით წარმოთქვა:

— საანგარიშოს ენა რომ ჰქონდეს, ჩემზე უფრო გასაგებად გიამბობდათ კოლმეურნეობის წარსულს, მაგრამ ისევ მე უნდა მოგითხროთ.

— ჩვენს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მევენახეობას უკავია. გვაქვს 32 ჰექტარი ვენახი, აქედან მსხმოიარეა 28 ჰექტარი. კოლმეურნეობის ისტორიაში შარშან პირველად გადავაჭარბეთ ყურძნის მოსავლიანობის გეგმას. წელს უკეთესად ვიმუშავეთ — ნაცვლად 52 ცენტნერისა ჰექტარზე საშუალოდ 65 ცენტნერი ალექსანდრეული და სხვა ჯიშის ყურძენი დავკრიფეთ, მევენახეობის შემოსავალმა ზუსტად ერთ მილიონ მანეთს მიაღწია.

ყურძნის უხვი მოსავლის ბევრი ოსტატი გვყავს. მერგოლეურმა კოტე მაისაშვილმა 7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 152 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გაიანე მაისაშვილის რგოლმა — 150-160 ცენტნერი.

მოსავალი უფრო მეტი გვექნებოდა, მაგრამ სეტყვამ დაგვაზარალა. მომავალ წელს მევენახეობისაგან მილიონნახევარ მანეთს მივიღებთ, ვაზი საუკეთესოდ არის მოვლილი, ვაშენებთ ახალ ვენახს. ზუსტად ვახორციელებთ აგროწესებს.

პროდუქტიულობითა და პირუტყვის სულადობის მხრივ წელს რაიონში ყველას ვაჯობეთ, გარდამავალი წითელი დროშა მივიღეთ.

დიდ შემოსავალს გვაძლევს მეღორეობა. თვითეულ დედალორზე წელიწადში ოცამდე გოჭს ვზრდით.

მეცხოველეობისათვის შევქმენით მტკიცე საკვები ბაზა, გადაჭარბებით შევასრულეთ სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობის გეგმები. წელს შრომადღეზე 12 მანეთს, 4 კილოგრამ მარცვლეულსა და ნახევარ ლიტრ ღვინოს გავანაწილებთ. მომავალ წელს უფრო მეტი იქნება. ასეთია საკოლმეურნეო წარმოების ზრდის კანონი, — დაასრულა როსტომმა.

იღიმებოდა როსტომ ნატმელაძე და ამ ღიმილში კოლმეურნეთა სიხარული ჩანდა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

# მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი მძლავრი და უძლეველია

## უცხოეთის საზოგადოებრიობის გამოხმაურება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ თათბირის მონაწილე ევროპის ქვეყნების მთავრობათა დეკლარაციაზე

### ჩინეთი

შანხაი, 4 დეკემბერი. (საკდესი). მოსკოვის თათბირის მონაწილე ქვეყნების ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც შანხაის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა, ჩინეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

გაზეთი „ვენხუეიბაო" სტატიაში „ისტორიული დეკლარაცია", აღნიშნავს რა თათბირში მონაწილეობაზე დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის უარის მიზეზებს, წერს:

ამერიკა-ინგლისის ბლოკმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს აღორძინოს გერმანიის მილიტარიზმი. ამ ბლოკის მიზანია ჩაშალოს მშვიდობის საქმე, გათიშოს გერმანია და ევროპა და გააჩაღოს ახალი ომი. ამ პასუხსაგებ მომენტში უნდა განხორციელდეს ისეთი ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც ჩაფუშავენ ახალი ომის ორგანიზატორთა ზრახვებს. ეს ისტორიული მისია იკისრა ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა.

ერთობლივი დეკლარაცია, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, გამოხატავს არა მარტო თათბირის მონაწილე რვა ქვეყნის საერთო მისწრაფებას, არამედ სხვა ქვეყნების ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ნებასაც. ჩინელი ხალხი სავსებით იწონებს და მხარს უჭერს ამ დეკლარაციას. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი შევუერთოთ ჩვენი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის სხვა ქვეყნებისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებას, რათა მივაღწიოთ იმ მიზნების სრულ განხორციელებას, რომლებიც გამოხატულია ერთობლივ დეკლარაციაში.

### ინგლისი

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთების უმრავლესობა თვალსაჩინო ადგილას ათავსებს ცნობას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირის მუშაობის დამთავრებისა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. ცნობებს თათბირის მონაწილეთა მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის შესახებ წამყვანი ადგილი უკავია გაზეთებში „ტაიმსსა" და „დეილი მეილში". „ტაიმსი" აქვეყნებს დეკლარაციის დაწვრილებითს შინაარსს, რომელიც გადასცა რეიტერის სააგენტომ მოსკოვის რადიოს დამოწმებით.

სხვა გაზეთები სჯერდებიან დეკლარაციის იმ ნაწილის მოკლე შინაარსის გადმოცემას, რომელშიც ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ახალი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში.

გაზეთები ძირითადად თავს იკავებენ თათბირის შედეგების კომენტარებისაგან.

„დეილი ჰერალდს" არ მოჰყავს ფაქტიური ანგარიში თათბირის გადაწყვეტილებებზე, მაგრამ აქვეყნებს თავისი მიმომხილველის თუერის კომენტარებს. თუერს ერთი სიტყვაც არ უთქვამს წინადადებებზე კოლექტიური უშიშროების შესახებ, რომლებსაც დეკლარაცია შეიცავს. მან გაიმეორა ბურჟუაზიული პროპაგანდის გაცვეთილი ჭორები, რომ აღმოსავლეთი გერმანია თითქოს უკვე შეიარაღებულია.

ასეთსავე აზრს გამოთქვამს სარედაქციო სტატიაში „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი".

გაზეთ „დეილი მეილის" დიპლომატიური მიმომხილველი უოლტერ ფარი წერს, რომ ინგლისის ელჩი მოსკოვში ჰეიტერი, რომელიც მალე უნდა ჩამოვიდეს ლონდონში, საგარეო საქმეთა მინისტრ იდენთან ერთად განიხილავს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მიერ მიღებულ დეკლარაციას.

### ფინეთი

ჰელსინკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). ფინეთის დემოკრატიული პრესა, კომენტარს უკეთებს რა მოსკოვის თათბირის მუშაობის შედეგებს, აღნიშნავს ამ შედეგების უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

გაზეთი „ტიუეკანსან სანომატი" წერს, რომ თათბირის ერთადერთი მიზანი იყო თავიდან აცილება ახალი, კიდევ უფრო საშინელი ომისა, რომელსაც გამოიწვევს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თათბირმა გაიმეორა წინადადება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ორი შემდეგი პრინციპის საფუძველზე: ჯერ-ერთი, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციაზე უარის თქმა და მოლაპარაკების გამართვა გერმანიის გაერთიანების შესახებ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესების შესაბამისად; მეორე, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, რომელიც დაეყრდნობა ევროპის ყველა ქვეყნის მონაწილეობას, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა.

ეს პრინციპები, განაგრძობს „ტიუეკანსან სანომატი", სავსებით შეესაბამება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ინტერესებსა და იმ აზრებს, რომლებიც გამოთქმულია მთავრობის განცხადებებში.

მოსკოვის თათბირმა ცხადყო, აღნიშნავს გაზეთი, რომ ევროპის გაყოფა ორ ნაწილად, მტრულ სამხედრო დაჯგუფებებად, ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან იქნას აცილებული. გაზეთს მიაჩნია, რომ ფინეთის ყველა წრეებმა მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ იმას, რომ თავიდან აიცილონ მილიტარიზმის აღორძინება გერმანიაში და ხელი შეუწყონ ხალხთა კოლექტიური უშიშროების საერთო სისტემის შექმნას.

მოსკოვის თათბირზე მიღებული დეკლარაციიდან ჩანს, წერს გაზეთი „ვაპაა სანა", რომ ქვეყნები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თათბირში, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიაღწიონ შეთანხმებას და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა ფარგლებში შესაძლებელი იქნება გერმანიის გაერთიანება და ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა. ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, თათბირის გადაწყვეტილებანი ცხადყოფენ, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები გულხელდაკრეფილი ვერ უყურებენ აგრესიული კავშირების შექმნას, არამედ მიიღებენ ერთობლივ ღონისძიებებს თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

### ინდონეზია

ჯაკარტა, 4 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის გაზეთები ფართოდ აშუქებენ მოსკოვის თათბირის შედეგებს. გაზეთი „მერდეკა" აღნიშნავს, რომ თათბირი „უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა". გაზეთები „პედომანი", „ბერიტა ინდონეზია" თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციის შინაარსს. „თათბირს ევროპის უშიშროების საკითხებზე, — აღნიშნავს მოწინავე სტატიაში გაზეთი „სანდი კურიერი", — დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპის, არამედ აზიისთვისაც".

---

# ინგლისის კომპარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის კომპარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისმა დაუყოვნებლივ უპასუხოს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ მოსკოვის თათბირის მოწოდებას, რომ დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება მშვიდობის შესახებ.

მოსკოვის თათბირმა, ნათქვამია განცხადებაში, მტკიცედ მოითხოვა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება მშვიდობის შესახებ, ვიდრე დაამტკიცებენ შეთანხმებას გერმანიის ხელახლა შეიარაღების თაობაზე.

მოსკოვის თათბირმა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში, სერიოზულად გაგვაფრთხილა ევროპის ორ მტრულ ბანაკად გათიშვის საფრთხის შესახებ.

თუ გერმანიის ხელახლა შეიარაღება და დასავლეთის ქვეყნების შეიარაღებული კოალიცია ნაციზმთან ფაქტი გახდა, მაშინ, როგორც მსოფლიოს სოციალისტურმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, ისინი იძულებული იქნებიან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თავიანთი სოციალისტური მიღწევების დასაცავად. ინგლისელ ხალხს ჯერ კიდევ შეუძლია აიძულოს მთავრობა აწარმოოს მოლაპარაკება და დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გეგმები შეცვალოს მშვიდობის პოლიტიკით, რომლის მიზანია ერთიანი დემოკრატიული გერმანიისა და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

დასასრულ კომპარტია მოუწოდებს ყველა მამაკაცსა და ქალს, პროფკავშირების, კოოპერაციული მოძრაობისა და ლეიბორისტული პარტიის ყველა ორგანიზაციას, ყველა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ორგანიზაციას მოითხოვონ, რომ შეწყდეს გერმანიის ხელახლა შეიარაღება, დაუყოვნებლივ მოეწყოს მოლაპარაკება სახელმწიფოებს შორის ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის, აგრეთვე ატომისა და წყალბადის ბომბების აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

---

# ვილჰელმ პიკმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მუშაობაში

ბერლინი, 5 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა 4 დეკემბერს თავის რეზიდენციაში, ნიდერშენჰაუზენში (ბერლინი) მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მუშაობაში.

გროტევოლმა პრეზიდენტს აცნობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ და აღნიშნა მისი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა, აღნიშნა გროტევოლმა, ამავე დროს გზას გაუხსნის გერმანიის საკითხის უსწრაფესად და წარმატებით გადაწყვეტას როგორც დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების საშუალებით, ისე თვით გერმანელებს შორის მოლაპარაკების საშუალებით.

გროტევოლმა დაგმო დასავლეთის სახელმწიფოების პოზიცია, რომელთა წარმომადგენლები აცხადებენ, თითქოს გერმანიის საკითხზე მოლაპარაკება მიზანშეწონილი იყოს მხოლოდ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ.

შემდეგ გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და დასავლეთ გერმანიის რეგულარული არმიის შექმნა აიძულებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავის მშვიდობიან მოსაზღვრეთა დასაცავად შექმნას საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები.

გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი ცდა დაიწყონ აგრესია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეს მშვიდობისმოყვარე ქვეყნები მიიღებენ ყველა ღონისძიებას ასეთი აგრესიისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად.

ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის შესახებ მოკლე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა — პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა.

პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა, მადლობა გადაუხადა რა დელეგაციის წევრებს მოსკოვის თათბირის შედეგების შესახებ მოხსენებისათვის, სრული კმაყოფილება გამოთქვა მისი შედეგებით.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელმა ხალხმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს იმას, რომ არ დაუშვას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და ხელი შეუწყოს გერმანიის რაც შეიძლება მალე გაერთიანებას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დამყარების ინტერესებისათვის.

---

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ანგარიში ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის შესახებ

ბერლინი, 5 დეკემბერი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიულმა გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა. ცნობაში ნათქვამია, რომ 4 დეკემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გააკეთა მოხსენება ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირისა და ევროპის მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ამ თათბირის მონაწილე ქვეყნების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა აღნიშნა, ნათქვამია ცნობაში, რომ როგორც თვით თათბირის მიმდინარეობა, ისე პრინციპები, რომლებიც თათბირის მონაწილეებმა ერთობლივ დეკლარაციაში ჩამოაყალიბეს, გამოხატულებაა თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს იმ საერთო გადაწყვეტილებისა, რომ აგრესიულ წრეებს, რომლებიც ცდილობენ პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, დაუპირისპირონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალა ამ უკანასკნელთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

ამავე დროს ოტო გროტევოლმა აღნიშნა იმ განცხადების დიდი მნიშვნელობა, რომელსაც დეკლარაცია შეიცავს და რომლის თანახმად ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა და გერმანიის გაერთიანება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე ის გზაა, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის, როგორც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს განვითარებას, ფართო შესაძლებლობებს ხსნის გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და აზიის ქვეყნებთან გერმანიის ფართო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის.

ცნობის დასასრულს ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ანგარიში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციისა ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე და ის, რომ დელეგაციის მეთაურმა ოტო გროტევოლმა ხელი მოაწერა სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივ დეკლარაციას.

---

# ეგვიპტეში განაჩენი გამოუტანეს ასოციაცია „მუსლიმანთა ძმობის" წევრებს

კაირო, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ეგვიპტის ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა „მუსლიმანთა ძმობის" ხელმძღვანელ მოღვაწეებს, რომლებსაც ბრალად დასდეს შეთქმულება „არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით" და „საიდუმლო შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის" შექმნა.

ამ საქმეზე სამართალში მიცემული იყვნენ „მუსლიმანთა ძმობის" უმაღლესი მეთაური ჰოდაიბი, ასოციაციის აღმასკომის 14 წევრი, აგრეთვე „მუსლიმანთა ძმობის" ოთხი სხვა წევრი, მათ შორის მუჰამედ ლატიფი, რომელსაც ბრალად ედება „პრემიერ-მინისტრ ნასერის მოკვლის ცდა".

ტრიბუნალმა ჩამოხრჩობა მიუსაჯა შვიდ კაცს, მათ შორის — „მუსლიმანთა ძმობის" უმაღლეს მეთაურს ჰოდაიბის.

შვიდ ბრალდებულს მიესაჯა სამუდამო კატორღა და ორს — 15 წლის პატიმრობა.

ტრიბუნალის განაჩენი უნდა დაამტკიცოს „ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ".

გარდა ამისა, ტრიბუნალმა გამოიტანა გადაწყვეტილება „ურჩიოს მთავრობას დაშალოს ასოციაცია „მუსლიმანთა ძმობა".

„მუსლიმანთა ძმობის" სხვა დაპატიმრებული წევრების საქმეებს განიხილავენ სამ სპეციალურ სამხედრო სასამართლოში, რომლებიც „ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ" შექმნა, როგორც ტრიბუნალის განყოფილებანი.

იუწყებიან, რომ „მუსლიმანთა ძმობის" დაპატიმრებულ წევრთა რაოდენობა 1.000-ს აღემატება და რომ მათი უმრავლესობა სამართალში იქნება მიცემული.

---

## პრაღაში გაიხსნა მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების მეორე კონფერენცია

პრაღა, 4 დეკემბერი. (საკდესი). პრაღაში გაიხსნა მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილება) მეორე კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, დასავლეთ გერმანიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციები.

კონფერენცია გახსნა მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარემ ანრი მარტელმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას იმ გულითადი მიღებისათვის, რაც კონფერენციის მონაწილეებს მოუწყეს.

კონფერენციის დელეგატებს გულთბილად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი იოზეფ ტესლა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი გრასი.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება: მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების საქმიანობა და მისი ამოცანები იმ საქმეში, რომ განავითაროს სამთო მრეწველობის მშრომელთა მოქმედების ერთიანობა სოციალურ-ეკონომიურ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, პროფკავშირულ თავისუფლებათათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.
2. თანამოხსენება: მაღაროელთა ზეექსპლოატაციის შედეგები და შახტებში შრომის დაცვის ორგანიზაციისათვის, უბედური შემთხვევებისა და პროფესიულ დაავადებათაგან გარანტიებისათვის ბრძოლაში მოქმედების ერთიანობის განმტკიცება.
3. მოხსენება: კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების სამთო მრეწველობის მშრომელთა ბრძოლა უცხოეთის ტრესტებისა და მონოპოლიების წინააღმდეგ, ზეექსპლოატაციის წინააღმდეგ, ამ ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისათვის.
4. საორგანიზაციო საკითხები (მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციული კომიტეტისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები).

კონფერენციის 3 დეკემბრის საღამოს სხდომაზე მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე გააკეთა მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ანრი ტიურელმა (საფრანგეთი).

---

## ბრაზილიის კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობა

მონტევიდეო, 3 დეკემბერი. (საკდესი). იუწყებიან, რომ 7-11 ნოემბერს გაიმართა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობა. ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კარლოს პრესტესმა. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და წესდება.

---

## იტალიის მშრომელთა საგაფიცვო ბრძოლა

რომი, 4 დეკემბერი. (საკდესი). 2 დეკემბერს მილანის პროვინციის 100 ათასმა მელითონემ და მეტალურგმა მოაწყო 24 საათის გაფიცვა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ მეწარმეებმა უარი თქვეს დაიწყონ მოლაპარაკება ხელფასის გადიდების შესახებ.



ქუთაისი. ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის არქიტექტურულ ნაკეთობათა წარმოებამ, რომელიც ასრულებს წყალტუბოს სანატორიუმების, ავტოქარხნის დაბის საცხოვრებელი სახლების, ჩაის ფაბრიკების მშენებლობათა შეკვეთებს, წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა და წლის ბოლომდე გამოუშვებს ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. სურათზე: ინჟინერ-არქიტექტორი ა. გაგუა და მხატვარი ვ. სვანიძე მუშაობენ არქიტექტურულ სახელოსნოში.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

---

## შეხვედრა ყრილობის დელეგატებთან

დიდი მზადებაა ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა მწერლების საკავშირო მეორე ყრილობისათვის. საწარმოებში, სასწავლებლებში, კლუბებში და სხვა დაწესებულებებში ეწყობა შეხვედრები ყრილობის დელეგატებთან.

3 დეკემბერს თბილისის ოფიცერთა სახლში მოეწყო ოფიცრებისა და მათი ოჯახის წევრების შეხვედრა ყრილობის დელეგატებთან.

შეხვედრაზე მოხსენება — საბჭოთა მწერლების საკავშირო მეორე ყრილობის წინ — წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ჟღენტმა. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს ყრილობის დელეგატებმა პოეტებმა ხ. ბერულავამ, ი. ნონეშვილმა, დრამატურგმა მ. მრევლიშვილმა, საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ტაბიძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერალმა ა. ჩეიშვილმა და სხვ.

მწერლებს მიესალმა მაიორი გ. კვიჟინაძე.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის თეატრების მსახიობებმა.

---

## ლ. კ. გაბუნია — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის სექტორის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. კ. გაბუნიამ აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჰიპარიონების ისტორიისათვის (სსრ კავშირის ნეოგენის მასალების მიხედვით)".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ლ. კ. გაბუნიასათვის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

---

## სპორტის ამბები

### დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი

პრაღა, 5 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი პრაღის დიდ პრიზზე.

ადგილები ტურნირში შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველმა კალათბურთელებმა, რომლებსაც აქვთ ექვსი გამარჯვება, მეორე — პრაღის კალათბურთელებმა — 5 გამარჯვება და ერთი დამარცხება, მესამე — სოფიის კალათბურთელებმა — 4 გამარჯვება და ორი დამარცხება, მეოთხე — ვარშავის, მეხუთე — ბუდაპეშტის, მეექვსე — ჩეხოსლოვაკიის ქალთა ნაკრებმა გუნდმა, მეშვიდე — პარიზელმა კალათბურთელებმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოსკოვის კალათბურთელთა გუნდს გადაეცა პრაღის დიდი პრიზი.

### საბჭოთა პარაშუტისტების მსოფლიო რეკორდები

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციისაგან მიიღო ცნობა, რომ მსოფლიო რეკორდებად დამტკიცებულია საბჭოთა სპორტსმენი პარაშუტისტების მიღწევები.

ამა წლის 14 ივნისს კიეველმა სპორტსმენმა პ. კალიტამ 600 მეტრი სიმაღლიდან მოახდინა მარტოდ გადმოხტომა პარაშუტის გახსნის გახანგრძლივებით 60 მეტრი დიამეტრის წრეში ძირს დაშვების სიზუსტეზე და ამასთან ორ შესრულებულ გადმოხტომაში გვიჩვენა წრის ცენტრიდან საშუალო გადახრა 11 მეტრი და 10 სანტიმეტრი. რეკორდი დამყარებულია პირველად.

25 ივნისს ღამის ჯგუფური გადმოხტომა ძირს დაშვების სიზუსტეზე 100 მეტრი დიამეტრის წრეში 1.000 მეტრი სიმაღლიდან მოახდინეს სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის პარაშუტისტებმა პ. შუსტროვმა, ს. მიტინმა, ფ. ნეიმარკმა. სამ შესრულებულ გადმოხტომაში მათ გვიჩვენეს წრის ცენტრიდან გადახრა, რომელიც 25 მეტრსა და 3 სანტიმეტრს უდრის. რეკორდი აგრეთვე დამყარებულია პირველად.

4 აგვისტოს ვოროშილოვგრადელმა სპორტსმენმა ს. ზაგინსკიმ შეასრულა ღამის მარტოდ გადმოხტომა ძირს დაშვების სიზუსტეზე პარაშუტის დაუყოვნებლივ გაშლით 1.500 მეტრი სიმაღლიდან. მისი შედეგია ორ შესრულებულ გადმოხტომაში საშუალო გადახრა 5 მეტრი და 49 სანტიმეტრი. ეს 44 მეტრითა და 73 სანტიმეტრით აღემატება არსებულ მსოფლიო რეკორდს. (საკდესი).

### თასი დინამოელებმა მოიპოვეს

დამთავრდა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში საქართველოს უძლიერესი გუნდების მონაწილეობით.

ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქუთაისის „დინამოსა" და რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებმა. ამ გუნდების დასკვნითი ასპარეზობა გაიმართა 5 დეკემბერს თბილისის 26 კომისრის რაიონის სტადიონზე. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 2 : 2.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს გადაეცა გარდამავალი ჯილდო — სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასი.

### საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში

7 დეკემბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში (ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკა) შედგება სემინარი: სამრეწველო საწარმოებში ეკონომიის საკითხის შესახებ. ხელმძღვანელი პროფესორი დ. მშვენიერაძე.

აქვე საღამოს 7 საათზე მოეწყობა კონსულტაცია პარტიის ისტორიის საკითხებზე — კონსულტანტი დოცენტი ი. შარაშენიძე და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ — კონსულტანტი კ. ტაბატაძე.

რედაქტორი ნ. ჯაში.

---

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 7 დეკემბერს | პ. ჩაიკოვსკი—იოლანტა და საკონცერტო განყოფილება |
| 8 დეკემბერს | ვ. დოლიძე—ქეთო და კოტე |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

### დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დიდი ხელმწიფე, მარჯანიშვილის სახელობის— ცოცხალი პორტრეტი, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები, სომხური დრამის — უფსკრულთან (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი), მოზარდ მაყურებელთა ქართული — მაშენკა (აბონემენტი № 41, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული—ოლატი (7 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვ. ჩკალოვის სახელობის კლუბები — დაშნა, კომკავშირელი, კოლხიდა — ავარა (I და II სერია), დიდუბე — ჰრიჰინა, კოლმეურნე — გიორგი სააკაძე (I და II სერია), თბილისი — დოლარების ბრჭყალებში, ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — დიდი ოჯახი, გორკის სახელობის კლუბი — მტრის კვალდაკვალ, კომუნარების ბაღი—სკანდალი კლოშმერლში.

### დისერტაციების დაცვა

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

18/XII-54 წ. საღამოს 7 საათზე № 93 აუდიტორიაში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**სალახ ისმაილის-ძე სამედოვი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Колхозы Шемахинского района Азербайджанской ССР в послевоенные годы (1946-1952) (статистико- экономический очерк)".

22/XII-54 წ. საღამოს 7 საათზე № 93 აუდიტორიაში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**ლევან ახმედის-ძე ხარაზი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ტრესტ „საქსურსათმშენის" წინანდლის № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ესაჭიროება დამხმარე მუშები, კალატოზები და მეხეტონეები. მუშები დაკმაყოფილებული იქნებიან ბინით და აუნაზღაურდებათ გადაყვანის და სხვა ფაქტიური ხარჯები. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ტრესტ „საქსურსათმშენის" კადრების განყოფილებას — ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 59 და წინანდალი, წინანდლის № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო.

„გლავვტორსირიოს"
საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

აცხადებს ყველა მოქალაქეთა, ორგანიზაციებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 1 დეკემბრიდან საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში წარმოებს ხმარებიდან გამოსული კაპრონის წინდების, კაპრონის თევზსაჭერი ბადეების, ბაგირების შესყიდვა.

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 3-77-09, 3-58-68, 4-00-50.

მოქალაქე ლამარა ვასილის ასულმა არონიშიძემ, მცხოვრებმა ვახუშტის ქ. № 3, აღძრა საქმე უნივერსიტეტის ქ. № 35 მცხოვრებ მოქალაქე ლევან ზაქარიას-ძე მჭედლიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე შალვა დავითის-ძე კრიხელმა, მცხოვრებმა ლეჩხუმის ქ. № 50, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ქსენია ილიას ასულ ნაკაიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე შალვა ოჯახით იუწყება **შუშანა კამლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XII სიქთარვაში (თერჯოლის რაიონი).

მეუღლე ანეტა ოჯახით იუწყება **სამსონ ექვთიმეს-ძე ჩიკაშუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-XII ლაშისღელეში (ლანჩხუთის რაიონი).

შვილი გალაქტიონ ოჯახით იუწყება **დომნა დიანესის ასულ გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XII სოფ. მარანში (აბაშის რაიონი).

შვილები შალვა, შოთა ოჯახებით იუწყებიან **ედუსი გიორგის ასულ კაკაბაძე-კვირკველიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XII ზუგდიდში.

მეუღლე ნოე იუწყება **ოლია დიანოსის ასულ ხოფერია-ბარამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XII, 5 ს. გვიმბალაურში (ლანჩხუთის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდვეწოხი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროს — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81 65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის— 3-77-70

უე 19121 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.